საიდ. №84206/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №151-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „გარდენ“-ის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №151-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1895/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „Ukrainochka უკრაინოჩკა Украиночка Україночка“ (საიდ. N84206/03) რეგისტრაცია მომსახურების

შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა (უკრაინული სამზარეულო)“ (43-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის №1895/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „Ukrainochka უკრაინოჩკა Украиночка Україночка“ (საიდ.N84206/03) რეგისტრაციას არ ექვემდებარება, ვინაიდან შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირედება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისებების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“. წარმოდგენილი ნიშანი შედგება სიტყვიერი ნაწილისაგან „Ukrainochka უკრაინოჩკა Украиночка Україночка“. აღნიშნული ნიშანი სარეგისტრაციოდ წარმოადგინა საქართველოში რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა - შპს „გარდენმა“. წარმოდგენილი ნიშანი შესაძლებელს ხდის მომხმარებელს შეუქმნას მცდარი წარმოდგენა მომსახურების გამწევის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, ვინაიდან ნიშანი „უკრაინოჩკა“ ასოცირდება უკრაინასთან, ხოლო მომსახურების გამწევი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში. მომხმარებელი ჩათვლის, რომ განმცხადებლის მიერ გაწეული მომსახურება, კერძოდ, „საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა“ მას გაეწევა უკრაინული კომპანიის მიერ. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის

საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 43-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „გარდენი“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის პოზიციით, შპს „გარდენი“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას (სახელმწიფო რეგ. თარიღი 04/01/2009წ), რომელსაც ქ. ბათუმში გააჩნია ორი რესტორანი, რომელთაგან ერთი წარმოადგენს რესტორან „GRAND GRILL“-ს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს თურქულ სამზარეულოს (სადაც დასაქმებულია თურქეთის რესპუბლიკიდან სპეციალურად მოწვეული მზარეული და რესტორნის შიდა ინტერიერი მოწყობილია აზიურ სტილში), ხოლო მეორე წარმოადგენს „უკრაინოჩკას“, რომელიც რესტორნის შიდა ინტერიერი მოწყობილია უკრაინის სახელმწიფოს ეროვნულობისათვის დამახასიათებელი ინტერიერით, დასაქმებულია უკრაინის სახელმწიფოდან ჩამოყვანილი მზარეული (რათა მოამზადოს უკრაინის სახელმწიფოს ეროვნული კერძები), რესტორანში დასაქმებული მიმტანებს აცვიათ უკრაინის ეროვნული სამოსი და მომხმარებელს სთავაზობს უკრაინულ სამზარეულოს. აპელანტის განმარტებით, აღნიშნული გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, უფრო მეტიც აღნიშნული რესტორნის მომხმარებლისათვის ცნობილია, რომ იქ მზადდება უკრაინული კერძები, რომელსაც ამზადებს უკრაინის სახელმწიფოდან სპეციალურად მოწვეული მზარეული, გამომდინარე აქედან, ამ სტანდარტისა და

მომსახურეობის შენარჩუნების მიზნით მოთხოვნილ იქნა განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რესტორანი „უკრაინოჩკა“ აღნიშნული სახელმწოდებით ცნობილია ქ. ბათუმში, შესაბამისად მომხარებლისათვის ცნობილია ის გარემოება, რომ რესტორან „უკრაინოჩკა“-ში უკრაინიდან მოწვეული მზარეულის მიერ მზადდება უკრაინული კერძები, რომლის მფლობელიც არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, რაც ბუნებრივია გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, „ეს კანონი აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგსიტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს“. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსმახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან“, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, „სიმბოლო შეიძლება იყოს სიტყვა ან სიტყვები აგრეთვე ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომლებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა, ისევე როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბიანციების გამოყენებით“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წერილობით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, მე-4 პუნქტის თანახმად, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, ადმინისტარციული ორგანო არ არის უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან

არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. აპელანტს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანების გამომცემმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის მითითებული თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პირობებში მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ამასთანავე, აპელანტს მიაჩნია, რომ დარღვეულია ამავე კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც ამავე კოდექსის 60[1] მუხლის თანახმად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. ამასთან, საქმის ზეპირ მოსმენაზე აპელანტის წარმომადგენელმა განაცხადა თანხმობა 43-ე კლასის მომსახურების შეზღუდვაზე შემდეგნაირად: „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა (უკრაინული სამზარეულო)“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის №1895/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „Ukrainochka უკრაინოჩკა Украиночка Україночка“ (საიდ. N84206/03) დარეგისტრირებას მომსახურების შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა (უკრაინული სამზარეულო)“.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას

მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ 43-ე კლასის განცხადებული მომსახურების შემდეგი სახით - „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა (უკრაინული სამზარეულო)“ შეზღუდვის პირობებში, არ შევა მომხმარებელი შეცდომაში მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, ვინაიდან ზემოაღნიშნული მომსახურება დაკავშირებულია, უკრაინასთან, კერძოდ უკრაინულ სამზარეულოსთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მომსახურების შეზღუდვის პირობებში, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „Ukrainochka უკრაინოჩკა Украиночка Україночка“ (საიდ. N84206/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „გარედენ“-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1895/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „Ukrainochka უკრაინოჩკა Украиночка Україночка“ (საიდ. N84206/03) დარეგისტრირდეს 43-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა (უკრაინული სამზარეულო)“.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი